



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030635581006820

18 / მარტი / 2020 წ.

თბილისი #06-65/თ


**ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო შემთხვევიდან ლაბორატორიული  
კვლევისათვის საჭირო, კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი პირებისგან ნიმუშის  
აღების ალგორითმის დამტკიცების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს, ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო შემთხვევიდან ლაბორატორიული კვლევისათვის საჭირო კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი პირებისგან ნიმუშის აღების ალგორითმი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდამსულია  
ელექტრონულად 

ამირან გამყრელიძე

**კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი პირებისგან ნიმუშის აღების  
ალგორითმი**

16/03/2020

იზოლაციის ტიპი	ნიმუშის აღება	შენიშვნა
სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი კარანტინში მყოფი პირები, რომლებიც <b>არ არიან</b> დადასტურებული შემთხვევის ახლო კონტაქტები	<b>არა</b> , თუ განკუთვნილი 14 დღის განმავლობაში არ ვლინდება COVID-19-თვის დამახასიათებელ სიმპტომებს	თავისუფლდება კარანტინიდან <b>ლაბორატორიული კვლევის გარეშე</b> დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ
თვითიზოლაციაში მყოფი პირები, რომლებიც <b>არ არიან</b> დადასტურებული შემთხვევის ახლო კონტაქტები	<b>არა</b> , თუ განკუთვნილი 14 დღის განმავლობაში არ ვლინდება COVID-19-თვის დამახასიათებელ სიმპტომებს	თავისუფლდება კარანტინიდან <b>ლაბორატორიული კვლევის გარეშე</b> დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ
თვითიზოლაციაში მყოფი პირები, რომლებიც <b>არიან</b> დადასტურებული შემთხვევის ახლო კონტაქტები	<b>დიახ</b> , თუ განკუთვნილი 14 დღის განმავლობაში ვლინდება COVID-19-თვის დამახასიათებელ სიმპტომებს	<b>შედეგი დადებითია</b> - რეფერალი განსაზღვრულ კლინიკაში <b>შედეგი უარყოფითია</b> - გრძელდება იზოლაცია 14 დღიანი ვადის დასრულებამდე
სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი კარანტინში მყოფი პირები, რომლებიც <b>არიან</b> დადასტურებული შემთხვევის ახლო კონტაქტები	<b>დიახ</b> , თუ განკუთვნილი 14 დღის განმავლობაში ვლინდება COVID-19-თვის დამახასიათებელ სიმპტომებს	<b>შედეგი დადებითია</b> - რეფერალი განსაზღვრულ კლინიკაში <b>შედეგი უარყოფითია</b> - გრძელდება იზოლაცია 14 დღიანი ვადის დასრულებამდე